გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 10
(11 671)

14 – 17 თებერვალი (პარასკევი – ორშაბათი), 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



თბილისში დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ტიტულოვანი ფალავნებიდან კვლავ იზეიმა წარმატება. გამოცდილმა სპორტსმენმა, გორელმა დავით პოღოსიანმა, რომელსაც სურათზე ხედავთ საფინალო შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ... (იხ. მე–2 გვ.)

## უეფა ფეხბურთში „ვერცხლის გოლს“ აწესებს...

გუშინ უეფას მორიგ სხდომაზე განიხილეს ახალი წესის – „ვერცხლის გოლის“ შემოღების საკითხი. დადგინდა, რომ „ვერცხლის გოლის“ წესს გამოიყენებენ ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში, აგრეთვე ევრო-2004-ის ფინალურ სტადიაზე.

მაინც რაში მდგომარეობს „ვერცხლის გოლის“ წესი? თუკი მატჩის ძირითადი დრო ფრედ დასრულდება, დაინიშნება პირველი დამატებითი 15-წუთიანი ტაიმი (ოვერტაიმი), თუკი ისიც ფრედ დასრულდა, დაინიშნება მეორე. პირველ ოვერტაიმში რომელიმე გუნდის მიერ უპირატესობის მოპოვების შემთხვევაში (რაც ანგარიშით უნდა გამოიხატოს), მეორე ოვერტაიმი საჭირო აღარ იქნება. „ოქროს გოლისაგან“ განსხვავება ის არის, რომ ოვერტაიმის დროს, პირველი გოლის გატანისთანავე მატჩი არ წყდება, სანამ დამატებითი დრო არ გაილევა.

## „ბორჯღალოსნები“ პორტუგალიელებთან გამარჯვებას გეგმავენ

**ხვალ, ლისაბონში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველ მატჩში ეთამაშება პორტუგალიის ნაკრებს. ამ მატჩისათვის „ბორჯღალოსნები“ მონპელიეს მახლობლად ემზადებოდნენ.**

სამწუხაროდ, გუნდს გამოაკლდა ლევან ცაბაძე, თუმცა, კლოდ სორელი მაინც გამარჯვებას გეგმავს. მისი აზრით, პორტუგალიის ნაკრებმა საგრძნობლად მოუმატა თამაშს (შარშან ქართველებს აშკარად გაუჭირდათ ამ გუნდის დამარცხება), გაცილებით ძლიერად გამოიყურება ესპანეთისა და ჩეხეთის ნაკრებებზე კი, თუმცა, თვლის, რომ საქართველოს ნაკრებს წარმატების უფრო მეტი შანსი აქვს. საბოლოო შემადგენლობის დასახელებას კლოდ სორელი დღეს საღამოს აპირებს. მისგან განსხვავებით, პორტუგალიელებმა გუნდის შემადგენლობის სია უკვე გამოაქვეყნეს: მოტა, უვა, ფერეირა, ფონსეკა, დეორეი, ფონტესი, გ. აბერტურა, ლიმა, კორდეირუ, კორეია, ნუნიესი, სოუზა, ანდრადე, კუნია, მატეუში, გონსალვეში, პისარი, გარვაო, აგილარი.

## ნომერში წაიკითხავთ:

- ისედებიან სპორტსმენები პარალელურ სამყაროში?
- სქოლიოზის მკურნალობა უაზრობა ყოფილა
- თურქეთს ბედმა ისევ ბრაზილია არგუნა
- 101 ვარჯიში ნორჩი ფეხბურთელებისთვის
- საქართველოს და საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები
- დასრულდა ჯორდანის ეპოქა?
- კროსვორდი. საჭადრაკო ამოცანა...

## ანონსი

### „ლელოს“ შემდეგ ნომერში წაიკითხავთ:

- რას ჰყვებოდა არსენ მეკოკიშვილი თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე?
- ახალი თაობის ფეხბურთელები – ლევან ნიშნიანიძე

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ჭიდაობაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის, ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ ავთანდილ თოდრია, ემზარ კიკაბიძე, ზურაბ ნიკურაძე, მევლუდ ჩხაიძე, ბადრი შენგელია.

## მილოცვები

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ღვაწლმოსილ პედაგოგს, ამავე აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგეს, დოცენტ გივი დვალს.

* * *

საქართველოს ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 80 წლისთავს ულოცავს ვეტერან ტანმოვარჯიშეს, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს გივი დვალს.

* * *

„ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ მილოცვებს.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### 7 თვის შემდეგ დაბრუნდება

ჩოგბურთში ავსტრალიის 2002 წლის ღია პირველობის გამარჯვებულს ტომას იუჰანსონს გაუკეთდა მუხლის სახსრის ოპერაცია. ექიმების დასკვნის თანახმად, ჩოგბურთელი აქტიურ სპორტს მხოლოდ 7 თვის შემდეგ დაუბრუნდება.

აქვე გეტყვით, რომ ამ ტრავმის გამო იუჰანსონმა გამოტოვა „დიდი შლემის“ ბოლო ორი ტურნირი — აშშ-სა და ავსტრალიის ღია პირველობა.

### ერაყის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა

ერაყის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, გერმანელმა სპეციალისტმა ბერნდ შტანგემ, რომელიც ადრე გერმანულმა პრესამ „სადამის მწვრთნელად“ მონათლა, თანამდებობა დატოვა და ბაღდადში გერმანიის საკონსულოს მიმართა სამშობლოში დაბრუნების თხოვნით.

## ახალი 7 დღე

### ციტატა

*ძიუდოისტ ზვიად ხანჯალიაშვილის პასუხი კორესპონდენტის ერთ-ერთ შეკითხვაზე:*

„ძიუდოში ახლა ძალიან ბევრი ქართული ილეთი გამოიყენება. ადრე იაპონელები არ იცნობდნენ ქართული ჭიდაობის ილეთებს და ამიტომ ორთაბრძოლების დროს მაიმუნებივით ფეხებში დაძვრებოდნენ. ახლა სიტუაცია შეიცვალა. მათ ისწავლეს ქართული ილეთები და ქართულად გვეჭიდავებიან. ჩვენ კი ჩვენი დაგვავიწყდა და იაპონელებს იაპონურად ვეჭიდავებით.“




4

## სანქტ-პეტერბურგის სპორტის მესვეური ბიუჯეტის განიავებაში ამხილეს

სანკტ-პეტერბურგის სპორტისა და ფიზკულტურის ადმინისტრაციის თავმჯდომარეს ადანაშაულებენ სახელმწიფო ბიუჯეტის განიავებაში. როგორც რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები აცხადებენ, ამ სპორტულმა ჩინოვნიკმა კომიტეტის სახელით გააფორმა ხელშეკრულება საზოგადოება „ალტერნატივასთან“, რის საფუძველზეც შეისყიდა ობუხოვის დაცვის პროსპექტზე მდებარე დაუსრულებელი გამაჯანსაღებელი კომპლექსი და „ალტერნატივას“ ერთი მილიონი რუბლი გადაურიცხა. ამით, კომიტეტის თავმჯდომარემ ბიუჯეტი აზარალა.

## კაპელოს ინგლისში ელიან...

ფეხბურთის ცნობილი იტალიელი სპეციალისტი ფაბიო კაპელო, შესაძლოა, უახლოეს ხანში ინგლისში აღმოჩნდეს. საქმე ის არის, რომ „რომას“ თავკაცის მომსახურებით დაინტერესებულნი არიან საფეხბურთო კლუბები „ფულემი“ და „ლივერპული“. თუკი ამ უკანასკნელის მთავარი მწვრთნელის ჟერარ ულიეს გადადგომაზე ჯერ არ საუბრობენ, „ფულემის“ პრეზიდენტი მუჰამედ ალ ფაიედი მზად არის, დღესვე დაატოვებინოს გუნდი მთავარ მწვრთნელს ჟან ტიგანას.

## სამთომეთხილამურეთა ჩემპიონატზე...

შვეიცარიის ქალაქ სანკტ-მორიცში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე გიგანტურ სლალომში ქალთა შორის პირველობა არავის დაუთმო შვედმა ანია პერსონმა, რომლის შედეგია 2 წუთი და 30,97 წამი.

მეორე ადგილზე გავიდა დენიზ კარბონი (იტალია), რომელიც შვედს 1,55 წამით ჩამორჩა, ხოლო მესამე ადგილზე — ელისონ ფორსაიტი.

8 სახეობაში ჩატარებული შეჯიბრების მიხედვით ყველაზე მეტი — 7 მედალი (აქედან 3 ოქროსი) აქვთ მიღებული ავსტრალიელ სპორტსმენებს. 6 მედალია ამერიკელ სპორტსმენთა ანგარიშზე.

## ადვოკაატი ფერგიუსონს გაუბრაზდა

ჰოლანდიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავს „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცის ალექს ფერგიუსონის მისამართით. საქმე ის არის, ადვოკაატი შეუთანხმდა ფერგიუსონს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელს რუუდ ვან ნისტელროის არგენტინელებთან ამხანაგური მატჩის მხოლოდ ერთ ტაიმს ათამაშებდა. მატჩის დროს, ჰოლანდიელთა თავკაცმა აღმოაჩინა, რომ „სერ ალექსი“ არ შეთანხმებია არგენტინის ნაკრების ხელმძღვანელობას ვერონთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელმა მოედანზე 75 წუთი დაჰყო.

## ალან შირერი: რომ არა რობსონი, ფეხბურთიდან წავიდოდი




„ნიუკასლში“ მოთამაშე ალან შირერმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, თავის გუნდს, 1999 წელს სათავეში რომ არ ჩასდგომოდა ბობი რობსონი, ფეხბურთს აქამდე მიატოვებდა.

„რომ იტყვიან, „ჩაძირული“ ვიყავი, როცა რობსონი გუნდის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მე უკვე ვაპირებდი ლურსმანზე ბუცების ჩამოკიდებას. მხოლოდ რობსონმა დამანახვა, თუ რა უნდა მეკეთებინა“, — ამბობს შირერი.

## იტალიელებმა ბატისტუტას შეუნდეს



იტალიის ფეხბურთის ლიგამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოუხსნა არგენტინელ თავდამსხმელს გაბრიელ ბატისტუტას (სურათზე). როგორც იცით, რამდენიმე დღის წინ, „რეჯინას“ მცველისათვის იდაყვის დარტყმის გამო, ბატისტუტამ ზემონახსენები სასჯელი მიიღო. ჯერჯერობით უცნობია, თუ რის საფუძველზე შეცვალა იტალიური ლიგის ხელმძღვანელობამ ადრინდელი გადაწყვეტილება.

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 6 თვე დარჩა

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

**უკეთ, ვიდრე სიდნეიში!**

# „ისევ ის ბიჭი ვარ“...

ჰმაგდარი



ჩვენ ის გვასწავლიდა, თუმცა, ჯერ მოსწავლე იყო თავადაც – ფსიქოლოგიის დიდი პროფესორის ვლადიმერ ნორაკიძის საამაყო შეგირდი. ამ აღიარებულ მეცნიერს კი მსოფლიო ფსიქოლოგიის ერთ-ერთი კორიფის, დიმიტრი უზნაძის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ.

სტუდენტებმა ეს ვიცოდით. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ფსიქოლოგიის ლექციებმა იმდენად მოგვაჯადოვა, აუდიტორია მუდამ სავსე იყო. ყველაზე საინტერესოდ გვეჩვენებოდა საგანი, რაზედაც სკოლიდან გამოყოლილი მწირი წარმოდგენა გვქონდა. არ ვაჭარბებ, მაქსიმალურად მხოლოდ ეს ლექცია გვიზიდავდა. მერე კაბინეტ-ლაბორატორიებში სემინარულ მეცადინეობებზე რომ გადავინაცვლეთ და ერთმანეთისთვის სტუდენტები ე.წ. ცდის პირები გავხდით, სულ სხვა სამყარო გადაიშალა ჩვენს თვალწინ. მაშინ გავიგეთ თუ რა არის გუნდის ან სპორტსმენის ფსიქოლოგიური პორტრეტი და რა სამსახური შეუძლია გაუწიოს ამ პორტრეტმა მწვრთნელს მიზნის მიღწევაში.

.... მეცნიერებას ახალგაზრდები სხვადასხვა გზით უკავშირდებიან. გივი დვალს ეს გზა მოკლე ნახტომით არ დაუძლევია, ჯერ უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილება მიიღო: ქუთაისში მოსწავლეობიდან მოყოლებული, იყო ტანმოვარჯიშე, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ომამდე და ომის შემდეგ მრავალ სპორტულ შეჯიბრებაში გამობრძმედილი, მერე მწვრთნელი და მხოლოდ ამის შემდეგ შეაბიჯა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ასპირანტურაში პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრაზე. მაშინ უკვე დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოსოფიის ფაკულტეტი ფსიქოლოგიის სპეციალობით. ცხადია, სწორედ სპორტი გახდა მისთვის სამეცნიერო კვლევის სფერო.

ჩვენ უკვე ინსტიტუტს ვამთავრებდით, საკანდიდატო დისერტაცია რომ დაიცვა. პირველი ასპირანტი სპორტის ფსიქოლოგიაში, ამავე დარგში სამეცნიერო ხარისხის პირველი მფლობელი და პირველი ექსპერიმენტული გამოკვლევის ავტორი გახდა.

მთელი ნახევარი საუკუნე გაილია აუდიტორიაში. ზოგად სპორტის ფსიქოლოგიაში გარდა ლექციების კითხვისა, ბოლო წლებში, დოცენტი გ. დვალი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრას უდგას სათავეში.

საიუბილეო თარილთან დაკავშირებით, მეცნიერის ნაბიჯის უკეთ წარმოსაჩენად, სტატისტიკასაც მოიშველიებენ ხოლმე. ჩვენც ვთქვათ: 70-ზე მეტი მეცნიერული შრომა, მრავალი პუბლიკაცია ჟურნალ-გაზეთებში ჩვენში თუ უცხოეთში, მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში – აი, როგორია ეს სტატისტიკა. და კიდევ: ვ. ნორაკიძესთან ერთად ჩაუყარა და განამტკიცა სპორტის ფსიქოლოგიის საფუძვლები საქართველოში, მისი გამოკვლევები, რომლებიც სპორტის მთელ რიგ სახეობებში, როგორც გუნდების, ისე ცალკეულ სპორტსმენთა მომზადებაში პრაქტიკული მიღწევებით იყო დადასტურებული. აისახა სპეციალურ სახელმძღვანელოებსა და ქრესტომათიებში სხვადასხვა ქვეყნებში. ბატონმა გივიმ ეს მაღალი პროფესიონალიზმით დაიმსახურა, ღირსეულად მიიღო საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებაც.

ამ რამდენიმე წლის წინათ სწუხდა: „წელიწადში 50 დოლარის გადაუხდელობისთვის ევროპის სპორტის ფსიქოლოგიის ასოციაციიდან გაგვრიცხეს, დღემდე არაფერი შეცვლილა, „დარდად მაწევს“-ო – გვითხრა. ან კი როგორ შეიძლება სხვაგვარად იყოს, როცა საქართველოს სპორტის ფსიქოლოგიის ასოციაცია მისი პირმშოა და თავადაა მისი ვიცე-პრეზიდენტი.

ახლახან კვლავ ვესაუბრე. ბევრ რამეზე სტკივა გული. ვიმსჯელეთ. სხვა კუთხითაც შევხედეთ ცხოვრებას, მომავალს. დაფიქრდა. გაირკვა, ნუთუ როდისმე მართლა შეიძლება ჩვენნაირი პატარა ერების კულტურა და ისტორია გლობალიზაციამ შთანთქას, ნუთუ ყველაფერი დამთავრდა და უიმედოა, თუნდაც ეროვნული მეცნიერების, მათ შორის სპორტის ფსიქოლოგიის აღორძინება?

მსოფლიო რაღაც პროცესებს ახალი მიმართულებით და ახალი წესრიგისკენ რომ მიჰყავს, ამას ჩვენი ამაგდარი მკვლევარიც გრძნობს, მაგრამ შედეგების დაჯერება უმძიმს, უმძიმს ამდენისმნახველ მეცნიერს, ფსიქოლოგსაც კი...

... ახალგაზრდობაში თმახუჭუჭა იყო, რისი ნიშნებიც ამდენ წლებს ბოლომდე კიდევ ვერ წაუშლია. მახსოვს, უკვე საშუალო ასაკს რომ გასცდა, სალამდართულ ჩვეულებრივ მოკითხვაზე, იუმორით პასუხობდა: „ისევ ის ბიჭი ვარ“... შემდგომმა წლებმა გაცილებით მეტი ხიბლი შეჰმატა ამ იუმორს.

თუ მე მკითხავთ, მართლაც რომ ისევ ის ბიჭია...

თენგიზ ბაჩეჩილაძე

**თავისუფალი ჭიდაობა ეროვნული ჩემპიონატი**













# როცა ფედერაციის სარკე ეროვნული ჩემპიონატიცაა

თუ გვინდა საქართველოს რეგიონებს სტიმული მივცეთ, ის სპორტსმენები, რომლებმაც იქ აიდგეს ფეხი, არა მარტო უნდა მოვიხსენიოთ თუ სადაურია (ცხადია, მწვრთნელთან ერთად), არამედ კარგა ხანს მათი წარმატებები ამა თუ იმ ქალაქსა და რაიონს უნდა მიეწეროს კიდეც გარკვეული წესით. საბჭოთა ეპოქაში ასეთი წესი არსებობდა, ახლა კი თვალსაჩინოდ ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ დაიწყო მივიწყებულის აღორძინება, ვინძლო ბოლომდე მიიყვანოს ჩანაფიქრი და სხვებმაც მიბაძონ. გარკვეული სასიკეთო გარდაქმნა შეეხო ასპარეზობის რეგლამენტსაც, რაც იოლი გზით სიარულს სულაც არ ნიშნავს, პირიქით, მაგრამ სასარგებლოა.

მხედველობაში გვაქვს ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელსაც ვერის ბაღის ბავშვთა საკალათბურთო დარბაზმა უმასპინძლა. ფედერაციამ ჭიდაობაზე ზრუნვით რომ თავისი ავტორიტეტიც აიმაღლა და შეჯიბრებებსაც მეტი წონა შესძინა, ცხადია. ამის დასტურია, თუნდაც ის, რომ ამჟამად ჩემპიონატში მხოლოდ რამდენიმე ფალავანი არ გამოდიოდა საპატიო მიზეზით, თორემ შეგნებულად არავინ არიდებია, თავისი თავი ეროვნულზე მაღლა არ დაუყენებია.

არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ, როცა რეგიონებში ხედავენ მათი ღვაწლი ფასდება, მეტ ყურადღებას იჩენენ იმ ათლეტთა მიმართ, ვინც უკვე თბილისში განაგრძობს დაოსტატებას, აღარაფერს ვამბობთ იმათზე, ვისთვისაც თბილისამდე ეს გზა ჯერ კიდევ გასავლელია.

სახელოვან სპორტსმენთა გვერდით ხალიჩაზე შედარებით გამოუცდელები და მთლად ახალბედებიც გამოვიდნენ, რაც ამ უკანასკნელთ დიდ გაკვეთილად დარჩებათ თავიანთ სპორტულ ბიოგრაფიაში.

ეს ჩემპიონატი გამორჩეული იმითაც იყო, რომ გამარჯვებულები და პრიზიორები ფასიანი საჩუქრების გარდა ფულადი პრემიითაც დაჯილდოვდნენ და პირველად ქართული ჭიდაობის ჩოხაც გადაეცათ საჩუქრად, რაც ღრმად სიმბოლურია — „გახსოვდეთ ფესვები!“

***კვარცხლბეკი: 55 კგ:*** 1. ბესარიონ გუჩაშვილი (გორი), 2. გოჩა კირკიტაძე (ქუთაისი), 3. ამირან ელბაქიძე (გორი); ***60 კგ:*** 1. დავით პოლოსიანი (გორი), 2. ლევან ჩაბრაძე (საჩხერე), 3. კობა კაკალაძე (ბათუმი); ***66 კგ:*** 1. ოთარ თუშიშვილი (გორი), 2. პაატა ნოზაძე (ქუთაისი), 3. გიორგი ირემაძე (ქუთაისი); ***74 კგ:*** 1. გელა სალირაშვილი (თბილისი), 2. დავით ახალმოსულიშვილი (ყვარელი), 3. ალექსი პატარქალაშვილი (თბილისი); ***84 კგ:*** 1. რევაზ მინდორაშვილი (გურჯაანი), 2. მიხეილ ბაგაური (თბილისი), 3. მალხაზ ჯორბენაძე (თბილისი); ***96 კგ:*** 1. თამაზ გეგეშიძე (თბილისი), 2. ბაჩანა კარანაძე (რუსთავი), 3. ბელდუხ გავაშელი (თბილისი); ***120 კგ:*** 1. ალექსი მოდებაძე (თბილისი), 2. კობა კერესელიძე (ამბროლაური), 3. აკაკი საბაშვილი (ყვარელი).

ახლა ესტაფეტა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებმა მიიღეს.




## „ფალავნის“ საჩუქარი ფალავნებს

კომპანია „ფალავანმა“ და მისმა პრეზიდენტმა, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა (1965) ძიუდოში ანზორ ქიბროწაშვილმა, შესანიშნავი საჩუქარი უძღვნა ქართველ მოჭიდავეებს და მათ მრავალრიცხოვან ქომაგებს.

გემოვნებით შესრულებულ ფერად პლაკატს, რომელიც სულ ახლახან დაიბეჭდა და „ფალავნის“ ლოგო ამშვენებს, ის ყველა მოჭიდავის და არა მხოლოდ მოჭიდავის „კედლის ატრიბუტი“ გახდება. მაღალი ხარისხის ქაღალდზე გამოსახულნი არიან ქართველი ფალავნები ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები (ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებში), აქვეა ძველი თაობის სახალხო ფალავნებიც.

პლაკატის ძირი იწყება კასპის რაიონის სოფელ ერთაწმინდის წმინდა ესტატეს ტაძრის ეზოში გამართული ქართული ჭიდაობის ფოტოსურათით...

სწორედ რომ, ქართული ჭიდაობის ძირზე და ფესვზეა დამყარებული და აღმოცენებული ჩვენი ვაჟკაცების ჩემპიონობა.

პლაკატის თავში კი „საქართველოს გოლიათი“ — სანდრო კანდელაკი დგას ვით მყინვარწვერი. (ამ სურათზე 1958 წელს სანდრო კანდელაკი და მისი მშობლიური მცხეთის რაიონის ქართული ჭიდაობის ნაკრები გუნდია გამოსახული).

კომპანია „ფალავანი“ ქართული ღვინის კომპანიაა. „დავლიე იგი ზომაზე, მომცა ძალა და მხნეობა“ — ამბობს ქართული ხალხური შემოქმედების მარგალიტი — ხალხური ლექსი და იქვე ხაზს უსვამს ზომიერებას და მის ძალას.

გაბრიელ ბარჯაძე

**მატიანე 50 წლის წინათ**

**სიღნაღი. (კალათბურთი).** გაიმართა წნორის საშ. სკოლისა და სიღნაღის სპორტსკოლის გოგონათა და ვაჟთა შეხვედრა. ორივე თამაში მოიგეს წნორელებმა.

**თელავი (ფეხბურთი).** რაიონის სპორტსკოლის გუნდმა ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურის ფეხბურთელებს უმასპინძლა და გაიმარჯვა 3-1.

**ლაგოდეხი (ფრენბურთი).** რაიონის ცენტრის ფეხბურთის მოედანზე ადგილობრივი რუსული სკოლის გუნდმა ამხანაგური შეხვედრა მოუგო სოფ. აფენის საშ. სკოლის ფრენბურთელებს — 2:1.

**ლანჩხუთი.** სოფ. ჩიბათში გაიხსნა საშ. სკოლის სპორტული დარბაზი.

**ზუგდიდი (ჭადრაკი).** სოფ. ანაკლიის საშ. სკოლის მოჭიდავეთა პირველობა მოიგო მეშვიდეკლასელმა ი. აკობიამ.

**ვანი (ჭადრაკი).** რაიონში უძლიერესი სახელი მოიპოვა ა. ჩიკოშვილმა, მეორე იყო — თ. სვანიძე, მესამე — უ. ხუნდაძე.

**გორი (კალათბურთი).** რუსული საშ. სკოლისა და ვაჟთა მეორე სკოლის შეხვედრა მოიგეს მეორეკლასელებმა.

**თელავი (ფრენბურთი, კალათბურთი).** ნაფარეულის საშ. სკოლის მოედნებზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და სოფ. ყარაჯალის გუნდები. ფრენბურთში (გოგონები) მასპინძლებმა იმარჯვეს, ბიჭებში — სტუმრებმა, კალათბურთში ორივეჯერ ნაფარეულელებმა მიაღწიეს წარმატებას.

# არა, ეს მხოლოდ სენსაცია არ არის...

**• სპორტში ახალი მიღწევების საიდუმლო ლაბორატორიებს გარეთაა დასაძებნი • პარალელური სამყარო ჩვენს ირგვლივ • რატომ ცდილობს სპორტსმენი გადავიდეს შიზოფრენულ მდგომარეობაში? • რატომ არ წაიწია სპორტმა წინ შესამჩნევად ბოლო 25 წელიწადში?**



70-იან წლებში სპორტულ ჟურნალ „მართვეში" გამოვაქვეყნე იმდროინდელი მსოფლიო რეკორდების ნუსხა და მკითხველს მივმართავდი თხოვნით საუკუნის ბოლოს ერთად გადაგვევლო თვალი უკვე მეოთხედი საუკუნის წინანდელი და ახალი უმაღლესი სპორტული მიღწევებისთვის. რა დასამალია, მეგონა XXI საუკუნის დასაწყისში სასწაულებრივად საოცარი შედეგების მოწმენი გავხდებოდით, ისე შორს წავიდოდა სპორტი, ცხადია, მეცნიერების შემწეობით.

იმ პერიოდში მოსკოვი ორად გახლეჩილი მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის ერთი ნახევრის თამაშების მასპინძლობისთვის ემზადებოდა. თუ არ ვცდები, ოლიმპიადის გახსნამდე ორი კვირით ადრე იყო, რომ თბილისში, სამეცნიერო კონგრესი ჩატარდა, რაღა თქმა უნდა, სპორტულ თემაზე, პლანეტის წამყვან მკვლევართა მონაწილეობით. ცოტა არ იყოს, მაშინ ბევრისთვის ძნელი გასაგები იყო, ამერიკამ თუ მოსკოვში ოლიმპიადას ბოიკოტი გამოუცხადა, რატომ ჩამოვიდნენ ამ ქვეყნის მეცნიერები თბილისში ხსენებულ კონგრესზე.

მოკლედ, სწორედ ამერიკელთა მონაწილეობამ კონგრესში, სპორტში ახალი, უფრო მაღალი მიღწევების წინაპირობებზე სავსებით შემიცვალა შეხედულება. მივხვდი, რომ მეცნიერება ახალს ბევრს ვეღარაფერს იტყოდა. ამერიკელი სწავლულები სიფრთხილით მიგვანიშნებდნენ, რომ მეცნიერებამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ახლა სულ სხვა ალმოჩენებს უნდა გაეხსნა ადამიანში ჯერ კიდევ არსებული ფარული შესაძლებლობები.

სიზმრისა არ იყოს, რაღაცაზე რომ მიგვანიშნებს, მაგრამ მისი საიდუმლოების არსი სრულად ჯერ არავის შეუსწავლია, ამერიკელი მეცნიერებიც რაღაცაზე მიანიშნებდნენ, მაგრამ რა იყო ეს, ბოლომდე ჯერ თავად არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული. ის მაგალითებიც მაგალითებად რჩებოდა, რასაც ლექციის დროს უხმობდნენ ამა თუ იმ მოსაზრების უტყუარობისთვის.

„ხომ გინახავთ, სპორტსმენი როგორ ცდილობს მიაღწიოს ყურადღების მობილიზებას, მთელი ორგანიზმის კონცენტრირებას სტარტის წინ. ხშირად ეს რამდენიმე წამს გრძელდება. დააკვირდით მერე რა ხდება. ძალოსანი, მაგალითად, რაღაც არაადამიანური გამომეტყველებით და ღრიალით ეწევა სიმძიმეს. იგივე ახასიათებთ თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელებს. მძლეოსნებიდან მტყორცნელებს, მხტომელები აუცილებელი გარინდების მერე, შედარებით მდუმარედ უტევენ მიზანს" – ამბობდა ამერიკელი ფსიქოლოგი მაიკლ მერფი. მთავარი შემდეგ თქვა: „ყველა ასეთი უჩვეულო სიტუაცია საკუთარი თავის ავადმყოფურ სიტუაციაში ჩაყენების მცდელობაა. სპორტსმენს იქნებ არც აქვს გათვითცნობიერებული, მაგრამ ასე, ნებით თუ უნებლიედ ის მიდის შიზოფრენულ მდგომარეობამდე, რაც შინაგანი ძალების სრულად გამოვლენის შესაძლებლობას აძლევს მას".

გამაოგნებელი იყო ამის მოსმენა.

მერე მერფმა უფრო განამტკიცა თავისი მოსაზრება, როცა მსმენელებს აგვიხსნა, რომ ჩატარებული გამოკვლევები არ ადასტურებენ ამ სიტუაციაში სპორტსმენის ქმედებათა გააზრებულებას. მეტიც, თურმე ის მომენტი არც კი ახსოვთ.

„პირადად ვიკვლევდი ფეხბურთელთა მიერ საგოლე მომენტის მომზადებისა და მეტოქის კარის წარმატებით დალაშქვრის კულმინაციურ სიტუაციებს. მერწმუნეთ, ჯერ არ შემხვედრია ფეხბურთელი, რომელსაც სრულად აეხსნა პროცესის ეს დამაგვირგვინებელი მომენტი. მათ ეს არ ახსოვთ" – დასძინა მეცნიერმა.

რა ხდება?

საბჭოთა ეპოქაში ამ თემის გაიდეალებას აბა ვინ გაბედავდა. საბჭოთა სწავლულებს სხვა მეცნიერული დასკვნები გააჩნდათ. მერე კი, ძველებმა, შეხედულებების შეცვლა, ალბათ თავმოყვარეობას დაუკავშირეს, ახლების დრო კი ჯერ არ დამდგარა. ყოველ შემთხვევაში, კვლევის ახალმა მიმართულებებმა პოსტსაბჭოთა სივრცეში, აშკარად დაკარგა გაქანება.

არა, არ იფიქროთ, სათქმელი უკვე ამოიწურა. მთავარი წინ არის და ზოგიერთი პარალელი თუ მხოლოდ ავტორისეულია, მკითხველმა მისი სერიოზულობა-არასერიოზულობა თავად განსაჯოს. ამიტომ, რაც ზემოთ ითქვა, გთხოვთ ჩათვალოთ მხოლოდ ძირითადი მოსაზრებების წანამძღვრად.

ბოლო წლებში დაბეჯითებით ლაპარაკობენ პარალელურ სამყაროზე, რომელშიაც თურმე ჩვენ ვცხოვრობთ, მაგრამ ამას ვერ ვამჩნევთ, ვერ აღვიქვამთ, გამაოგნებელი უცნაურობები კი ჩვენს ირგვლივ ნამდვილად ხდება, რომლის ახსნა არ შეგვიძლია. ამასთან, ლაპარაკია პარალელური სამყაროს ენერგეტიკულ კარიბჭეზე, რომლის მიღმა ადამიანი აღმოჩნდება სრულიად სხვა განზომილებაში, სხვა სამყაროში (მას უწოდებენ იგივე მეოთხე განზომილებას). რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს ჩვეულებრივ მოკვდავთათვის შეუცნობადის შეცნობას, მოგზაურობას კოსმოსში, დროში, ნებისმიერი სიძნელის გადალახვას, ხილვებს თუ ერთი შეხედვით არასარწმუნო ან მიუწვდომელი ინფორმაციის მოპოვებას და ა.შ. ვარაუდობენ, რომ ეგვიპტესა და ინდოეთში ის ცნობილი პირამიდები, ბუნებრივ ენერგეტიკულ კარიბჭეთა მიბაძვით, ხელოვნურ კარიბჭედაა შექმნილი.

ახლა კი დროა დავუბრუნდეთ ისევ სპორტს. არის თუ არა ზემოხსენებული წინასასტარტო თუ საშეჯიბრო უცნაურობები იმის მცდელობა, სპორტსმენებმა მომენტალურად მაინც, თუნდაც სულ ოდნავ, გადააბიჯონ ენერგეტიკულ კარიბჭეს, თუ ეს მხოლოდ ყურადღების კონცენტრაციის მცდელობაა და სხვა არაფერი? ისევ ფაქტი: მკვლევარები ფიქრობენ, რომ: ბევრი იმ ადამიანთაგან, რომლებსაც ჩვენ შეურაცხადებად მივიჩნევთ, სინამდვილეში იმყოფებიან სხვა განზომილებაში, სწორედ ამიტომაა, რომ მათ ქცევებს ანომალიად აღვიქვამთ".

ვისაც შეუძლია გადალახოს ენერგეტიკული კარიბჭე და უფრო ღრმად შეიჭრას პარალელურ სამყაროში, ის იქ განუკურნებელი სენით თავის დახსნასაც ახერხებს. იგივე ამერიკელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ აშშ-ში ასე განიკურნა ერთი ადამიანი შიდსისაგან, საფრანგეთში – სარკომასაგან...

და ბოლოს, როცა 70-იანი წლების მსოფლიო რეკორდები 2000 წლისას შევადარეთ, გაწბილებული დავრჩით – დიდი პროგრესი არ მომხდარა. და კვლავ გაგვახსენდა მაიკლ მერფის მაშინ დამაეჭვებელი მოსაზრება, რომ დიდი ცვლილებები აღარ იყო მოსალოდნელი მსოფლიო სპორტის პროგრესში და ლაბორატორიული კვლევების გარეთ იყო საძებნი ახალი სტიმულები. ახლა ირკვევა, რომ ეს სტიმული უკვე ჩვენს ირგვლივ არსებულ პარალელურ სამყაროშია დასაძებნი...

თენგიზ გაჩეჩილაძე

## ბავშვთა ფეხბურთი



«დიდი დიღომი»-2000

### თბილისის ფედერაციის თასი დიდდიღმელებს

არმიის სპორტული დარბაზის სტუმრები ხშირად არიან მინიფეხბურთში ტურნირების მონაწილენი. ამჯერად აქ 1990 წლიანებმა იასპარეზეს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის თასზე. სამ ქვეჯგუფად განაწილებულ 12 გუნდიდან ფინალში გასვლის პატივი წილად ხვდათ დიდი დიღმის (მწვრთნელები თემურ მამისაშვილი, ალეკო სურმავა) და „მთვარის გლობუსის" (მწვრთნელი გია ნატროშვილი) გუნდებს. 2-1 გაიმარჯვეს დიდდიღმელებმა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში „მთვარის გლობუსი-1" დამარცხდა „ვაკე-91"-თან 0-5.

საუკეთესო ბომბარდირის პრიზი გადაეცა ირაკლი ღლონტს („შევარდენი"), რომელმაც 12 გოლი გაიტანა.



«მთვარის გლობუსი»-1

## სპორტული ცეკვები

### «აიპარას» თასზე

**ბაქოში ჩატარდა სპორტულ ცეკვებში რიგით მეცხრე ტრადიციული ტურნირი „აიპარას" თასზე, რომელიც ამავდროულად აზერბაიჯანის ღია პირველობას წარმოადგენს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლები.**

ჩვენი ქვეყნის ღირსებას ოთხი წყვილი იცავდა და ოთხივე, ერთ თურქულ და ერთ აზერბაიჯანულ წყვილთან ერთად ფინალურ ექვსეულში გავიდა.

საბოლოოდ, ლათინურ-ამერიკული ცეკვების პროგრამაში პირველი ადგილი დაიკავა თურქულმა წყვილმა (ეკიბარ მამედოვი — ელენე შიშკინა), მეორე ადგილზე გავიდა მანუჩარ მანჯავიძისა და ლაურა ქველაძის დუეტი (სხვათა შორის, მათ სპეციალური პრიზი გადასცა კლუბ „აიპარას" ხელმძღვანელობამ), მესამე ადგილი შალვა ორველაშვილმა და ეკა კაჭკაჭიშვილმა დაიკავეს.

ზურაბ კიკაბიძე — თინიკო გუგავასა და დავით წიგნაძე — ნინო გუგავას წყვილებმა, შესაბამისად, მეოთხე და მეხუთე ადგილები დაისაკუთრეს.

ეს შეჯიბრება გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენდა „კავკასიის თასის" გათამაშების წინ, რომელსაც წლეულს 16-18 მაისს, თბილისი უმასპინძლებს.

კიდევ ერთი, — ბაქოში გამართულ შეჯიბრების მსაჯთა კოლეგიაში იყვნენ დავით კულუმბეგაშვილი და ია კვირიკაშვილი, რომლებმაც საჩვენებელი გამოსვლით მოხიბლეს საზოგადოება.

## ჯანმრთელობის კუთხე

### ღირს კი სკოლიოზის განკურნება

ამ დღეებში აშშ-ის ერთ-ერთმა პოპულარულმა სამედიცინო ჟურნალმა გამოაქვეყნა სენსაციური ინფორმაცია: თურმე ხერხემლის გამრუდება, რაც ასე ხშირია მოზარდებში, ათეული წლების შემდეგაც არავითარ შესამჩნევ მავნე ზეგავლენას არ ახდენს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამერიკელებს არ სჩვევიათ ზერელე დასკვნები. მკვლევარები მთელი 50 წელიწადია აკვირდებიან ასზე მეტ პაციენტს ბავშვობის დროიდან მოყოლებული.



„ის აზრი, რომ ხერხემლის გამრუდება აუცილებლად იწვევს სერიოზულ პრობლემებს, არ დასტურდება" — ასკვნის კვლევის ავტორი პროფესორი სტიუარტ აინშტეინი. მეცნიერებს შეუდარებიათ 117 პაციენტის შედეგები იმათ მონაცემებთან, ვინც ბავშვობიდან სკოლიოზს მკურნალობდა. არანაირი სპეციფიკური გადახრები ჯანმრთელობის მხრივ ამ ორ ჯგუფს შორის არ დაფიქსირებულა.



# ეროვნულზე და „ლოკომოტივზე“

## ამხანაგური საფეხბურთო მატჩები

12 თებერვალი. თბილისი. ეროვნული სტადიონი.

**საქართველო – მოლდოვა 0–0**

**(ახალგაზრდული ნაკრებები)**

**საქართველო:** მამალაძე (ივარდავა 46), ნადირაშვილი (სამხარაძე 46), ხიზანეიშვილი, სალუქვაძე (უგრეხელიძე 71), კანდელაკი, ქოქიაშვილი (ხოჯავა 83), მანწკავა (ბურნაძე 67), სირაძე, ახალაია, დეკანოსიძე (ორბელაძე 66), ბობოხიძე (გ. ონიანი 86).

**მოლდოვა:** პაშჩენკო, რაზდოროჟნი, ფასოლა, კუჩოვეი, ტოფანი, ბორდიანი, მატიურა, პისნიკი (პორფირიანუ 89), ჩებოტარი (ნამაშკო 76), რადჩენკო (ჩუმაკი 83).

***გააფრთხილეს:*** რაზდოროჟნი (30), მანწკავა (40).

***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (საქართველო).

სუსხიანი ზამთრის ძილიდან ქართული ფეხბურთი ნელ-ნელა გამოდის. ვგულისხმობ არა ჩემპიონატს, არამედ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს, რომლებიც 12 თებერვალს თბილისში გაიმართა. საქართველომ მოლდოვას ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლა.

ახალგაზრდებმა სტუმრები ეროვნულზე მიიღეს. სიცივის მიუხედავად, ბიჭები თავგამოდებით შეუდგნენ მთავარი მწვრთნელის რეზო არველაძის რჩევების სისრულეში მოყვანას და, როგორც მატჩის შემდეგ თავად თქვა მწვრთნელმა, შეგირდებმა დავალება ფრიადზე შეასრულეს. მთავრისათვის მთავარი ეს იყო.

მე-13 წუთზე კარგი შანსი მიეცა ნადარეიშვილს გაეხსნა ანგარიში, პასი კი ბობოხიძემ მისცა, მაგრამ მეკარე პაშჩენკომ დიდი გაჭირვებით მოიგერია ბურთი კუთხურზე. ამ მომენტიდან სტუმრები გააქტიურდნენ, ჩვენი მცველები მობილიზებულნი ხვდებოდნენ იერიშებს და გოლის გატანის საშუალებას არ აძლევდნენ მეტოქეს.




მეორე ტაიმში ქართველებმა ტემპს მოუმატეს. ალბათ ეს იმ ცვლილებებმაც გამოიწვია, რომელიც არველაძემ მოახდინა გუნდში. სამხარაძე, სირაძე, მანწკავა — ამ ფეხბურთელებს შეეძლოთ თავისიანები დაეწინაურებინათ, მაგრამ, როგორც ჩანდა, თამაში 0-0 უნდა დამთავრებულიყო, ასეც მოხდა.

პრესკონფერენციაზე მთავარმა მწვრთნელებმა შემდეგი განაცხადეს: **საშა გუზუნი:** „შედეგით კმაყოფილი ვარ. ამ თამაშმა ჩვენს გუნდს სტიმული მისცა ჰოლანდიასთან და ბელარუსთან თამაშის წინ. ყველასი მადლობელი ვარ ასე თბილად და კარგად რომ შეგვხვდით. ქართულ ფეხბურთს კი წარმატებებს ვუსურვებ“.

**რეზო არველაძე:** „ჩემთვის ეს პირველი მატჩი იყო, თანაც ყველა ფეხბურთელს კარგად არ ვიცნობდი. მართალია, ვესწრებოდი ეროვნულ ჩემპიონატს, მაგრამ ამით ყველაფერი არ წყდება. კმაყოფილი ვარ შედეგით. მინდა აღვნიშნო, რომ აქტიურად თამაშობდნენ ფორვარდები. უმრავლესობა ახალწვეული იყო და დიდი პრეტენზიები მათ მიმართ არ გამაჩნია.

თითოეულმა შეასრულა ყველა ის მოთხოვნა, რაზეც თამაშის წინ მოვილაპარაკეთ. კონკრეტულად ვერც ვერავის შევაქებ, მაგრამ ვერც დავზრახავ...“

12 თებერვალი. თბილისი. სტადიონი „ლოკომოტივი“

**საქართველო – მოლდოვა 2–2**

**(ეროვნული ნაკრებები)**

**საქართველო:** ლომაია (ნიკურაძე 46), აბრამიძე (ქემოკლიძე 63), შაშიაშვილი, დიდავა (მენთეშაშვილი 46), ამისულაშვილი, სახვაძე, გოგობერიშვილი, ალექსიძე (დარასელია 46), ჯიქია (გ. კვარაცხელია 46), დ. მუჯირი (ჩალაძე 46), აფხაზავა (აშვეთია 46).

**მოლდოვა:** ბოგდანი, კოვალენკო, რებეჯა (პრიგანიუკი, 65), პუშკა, კატინსუსი, ჩებოტარი (გოლბანი 72), კოვალჩუკი, ოლექსიჩი, ფრუნზე (დადუ 65), ივანოვი (ბორეცი 68), კლეშჩენკო (პაცულა 65).

***გოლები:*** 1-0 ჩალაძე (60), 1-1 დადუ (75), 2-1 აშვეთია (83), 2-2 დადუ (85 პ).

***გააფრთხილეს:*** კვარაცხელია (48), კოვალენკო (49), მენთეშაშვილი (69), კოვალჩუკი (69).

***მსაჯები:*** გევორქ ოგანესიანი, აკოფ არტოიანი, არშაკ კნიაზიანი (ყველა — სომხეთი), ავთანდილ შალამბერიძე (საქართველო).

***დელეგატი:*** ანატოლი მილჩენკო (საქართველო).

იმავე დღეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა ეროვნული ნაკრებების შეხვედრა. ზამთრის ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ, გულშემატკივრები საკმაოდ შეიკრიბნენ სტადიონზე. მათი შეძახილები: „საქართველო“ — „საქართველო“ ჩვენს გუნდს სტიმულს აძლევდა და პასუხისმგებლობასაც ახსენებდა.

პირველად თამაშის დაწყებიდან მე-12 წუთზე ალექსიძის კარგმა პასმა და სახვაძის არაზუსტმა დარტყმამ „შეახურა“ მაყურებელი. კარგა ხანს უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო და, თუმცა, მოლდოველებს ამ ფონზე დაბნეულობა ეტყობოდათ, უპირატესობა გამოუყენებელი დარჩა. 21-ე წუთზე შეიძლებოდა რაღაცის „მოხლაფორთება“, მაგრამ აფხაზავას ცუდმა თამაშმა ჩაშალა კომბინაცია.

მოლდოველების გააქტიურების ჯერიც დადგა. ისინი ხშირად იჭრებოდნენ მასპინძელთა საჯარიმოში. კლეშჩენკოს, რომელიც კრიტიკულ მომენტში ჩვენმა მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს, შეძლო თავისიანების გახარება, მაგრამ ბოლო მომენტში აბრამიძემ იაქტიურა და შეტევა ჩაშალა. კიდევ რამდენიმე წუთში ფრუნზემ გამოიდო თავი, მოატყუა მცველები, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.

38-ე წუთზე დიდავამ პასი გადასცა ალექსიძეს, რომელმაც დაუყოვნებლივ გაგზავნა ბურთი ბოგდანის კარისკენ. ბურთი ძელს მოხვდა.

შესვენების შემდეგ ცვლილებებმა შედეგი გამოიღო. მე-60 წუთზე დარასელიას კარგი პასი ჩალაძემ შესანიშნავად გამოიყენა — 1-0. სტუმრებმა ეს გოლი 75-ე წუთზე გაქვითეს. ჩვენების გააქტიურებას მხოლოდ 83-ე წუთზე მოჰყვა გოლი აშვეთიას დამაგვირგვინებელი კომბინაციით — 2-1. სიხარული ნაადრევი გამოდგა. მალე ანგარიში გახდა 2-2 მას შემდეგ, რაც მასპინძელთა კარში 11-მეტრიანი დაინიშნა. მატჩი ასე დასრულდა.

**ლ. ჯანკოტაძე**



საქართველო – მოლდოვა ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა




ვარჯიში 3



**ამოცანა.** მოძრაობის მიმართულებისა და სიჩქარის ცვლა

**ორგანიზაცია და შინაარსი.** ორი მწკრივი, რომლებიც ერთმანეთის საპირისპიროდ დგანან 12-15 მეტრის დაშორებით, მუშაობს 10 მ. სიგანის დერეფანში. პირველი, ერთ-ერთი ჯგუფიდან, ალმაცერად გარბის მოთელვის ზონაში, ისწრაფვის მიაღწიოს შორეულ ხაზს და მიეკედლოს საწინააღმდეგო მწკრივს, მეტოქის ხელშეშლის მიუხედავად. ორივე გარბის ერთმანეთის შესახვედრად და მონაცვლეობით ცდილობენ გასცდნენ მეტოქეს, თუ ერთი მათგანი შემტევია, ან ბლოკავს მეორეს, თუ — ის თავს იცავს. ფინიში თავდება საპირისპირო მწკრივში ჩადგომით, რის შემდეგ სტარტს იღებს შემდეგი წყვილი.

**ინვენტარი.** ოთხი დგარი, ფერადი ჟილეტის ოთხი კომპლექტი.

**რეკომენდაცია:** შეავიწროვეთ დერეფანი თავდამსხმელისათვის ან გააფართოვეთ ის დამცველისთვის, რათა მოთამაშეებს გამოუმუშავდეთ მოძრაობის სისხარტე.

ვარჯიში 4



**ორგანიზაცია და შინაარსი.** მოთამაშეთა ორი ჯგუფი ერთმანეთისგან დგება 16-20 მეტრის დაშორებით, ალმები სლალომისთვის 1-2 მ. ინტერვალით. დამწყები მოთამაშე გაივლის ალმებს მათ შეუხებლად, ვიდრე არ მიაღწევს საპირისპირო ჯგუფს, საიდანაც სტარტს იღებს შემდეგი მოთამაშე, რომელიც იგივე ვარჯიშს იმეორებს უკვე საპირისპირო მხარეს.

**ინვენტარი.** ექვსი-შვიდი ალამი.

**რეკომენდაცია.** ტემპი და ალმების რაოდენობა შეიძლება პროგრესის შესაბამისად თანდათან გაიზარდოს, შეიძლება აგრეთვე შეიკვეცოს ინტერვალი ალმებს შორის, ამოცანის გართულებისათვის.

ვარჯიში 5

**ამოცანა.** გვერდულად გადაადგილება.

**ორგანიზაცია და შინაარსი.** მოთამაშეთა ორი ჯგუფი ერთმანეთისგან დგება 15-20 მეტრის დაცილებით. მათ წინ ერთ ხაზზე 3-5 მეტრის დაშორებით ალმების ლაბირინთია. პირველი მოთამაშე გარბის წინ, ზიგზაგურად — ერთი მხრიდან მეორეზე, „ლაბირინთის“ გავლით, ვიდრე არ მიაღწევს საპირისპირო მხარეს, რის შემდეგ მოძრაობას იწყებს შემდეგი მოთამაშე საწინააღმდეგო მიმართულებით.

**ინვენტარი.** ექვსი ალამი.

**რეკომენდაცია.** ტემპი შეიძლება შეიცვალოს, აგრეთვე მოეწყოს შეჯიბრება მწკრივების მოთამაშეთა შორის — ვინ მიაღწევს პირველი საპირისპირო მხარეს. აქ სიფრთხილეა საჭირო შეჯახების თავიდან ასაცილებლად.






დასაწყისი იხ. „ლელო“ №7-9

**მალკოლმ კუკი**

(გაგრძელება იქნება)

## დღეს სფფ-ს ყრილობაა...

დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მორიგი VI ყრილობა ჩატარდება, რომელსაც „შერატონ მეტეხი პალასი“ უმასპინძლებს.

დელეგატების, ჟურნალისტებისა და სტუმრების რეგისტრაცია 10.00 საათზე დაიწყება. ყრილობა მუშაობას შეუდგება 11.00 საათზე.

## ყრილობის დღის წესრიგი

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;
2. უმაღლესი ლიგის საფეხბურთო კლუბების ლიცენზირების ეროვნული სისტემის დამტკიცება;
3. სფფ-ს სადისციპლინო და სააპელაციო კომიტეტების წევრთა დამტკიცება;
4. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებელი აუდიტორის დამტკიცება;
5. არჩევნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ბრაზილიელებმა „ჩინური კედელი“ ვერ გაარღვიეს

### ავსტრალიელებმა კი ინგლისი შეარცხვინეს

**გუშინ სანაკრებო ამხანაგური მატჩების დღე იყო, თუმცა მათ შორის ევროპის ჩემპიონატის ერთი შესარჩევი მატჩიც ერია.**

***მეცხრე ჯგუფში*** სერბეთის ნაკრებმა აზერბაიჯანის გუნდს უმასპინძლა. სპეციალისტები უპირატესობას, რაღა თქმა უნდა, ყოფილ იუგოსლაველებს ანიჭებდნენ. მასპინძლებმა მართლაც კარგად დაიწყეს მატჩი. ანგარიში 34-ე წუთზე მიატოვიჩმა გახსნა თერთმეტმეტრიანით, 52-ე წუთზე ლაზეტიჩმა მეორედ აიღო სტუმრების კარი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სერბებს არ უნდა გასჭირვებოდათ თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა, მაგრამ... ჩვენმა მეზობლებმა ტოლი არ დაუდეს მეტოქეს. თავი ისახელა ყურბანოვმა, რომელმაც ორჯერ დალაშქრა სერბების კარი და ძლიერს ხელიდან ქულა გამოჰგლიჯა.

***ჯგუფში 3 თამაშიდან ქულათა მაქსიმუმით უელსის ნაკრები ლიდერობს. მეორე ადგილზე 5 ქულით სერბეთის ნაკრებია, შემდეგ მოდიან იტალია — 4 ქულა, ფინეთი — 3, აზერბაიჯანი — 1.***

***ახლა ამხანაგური მატჩების შესახებ.*** ბუნებრივია, ქართველი გულშემატკივრების ყურადღება მიმართული იყო საქართველოს ნაკრების მეტოქეთა მონაწილეობით გამართული თამაშებისკენ.

წარმატებული გამოდგა ბრაიან კერის დებიუტი ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ***ირლანდიელმა ფეხბურთელებმა სტუმრად 2-0 დაამარცხეს შოტლანდიის ნაკრები.*** ანგარიში მეცხრე წუთზე კოლბეინმა გახსნა, 8 წუთში მორისონმა მეორედ აიღო შოტლანდიელთა კარი. მასპინძლები დარჩენილ ტაიმნახევარში ამაოდ ცდილობდნენ სიტუაციის გამოსწორებას. ამ შეხვედრაში ირლანდიის ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: კაილი (კოლგენი), კარი, ოში (დანი), ბრინი (ო'ბრაიენი), ჰარტი, რიდი (ჰილი), ჰოლანდი, კინსელა (კარსლი), კილბეინი, მორისონი, დოჰერტი (კონოლი).

***რუსეთის ნაკრები კვიპროსის ოთხთა ტურნირში ჩაება*** და პირველ მატჩში მასპინძლები დაამარცხა მინიმალური ანგარიშით 1-0. ეს ერთადერთი გოლი შეხვედრის 43-ე წუთზე ხოხლოვმა გაიტანა. ვალერი გაზაევმა კვიპროსელთა წინააღმდეგ შემდეგი შემადგენლობა გამოიყვანა: ჩიჟოვი (მანდრიკინი), ონოპკო, ნიჟეგოროდოვი, ევსიკოვი, კარპინი (გუსევი), სმერტინი, ხოხლოვი (ალდონინი), ლოსკოვი (ბერეზუცკი), სოლომატინი, სიჩევი (კერჟაკოვი), ბესჩასტნიხი (კირიჩენკო), კარიაკა. ***ტურნირის მეორე მატჩში რუმინელებმა 2-1 მოუგეს სლავებს. შვეიცარიელებმა სტუმრად 5-1 დაამარცხეს სლოვენიის ნაკრები.*** მასპინძელთა განადგურება იაკინმა დაიწყო უკვე მეორე წუთზე. პირველ ტაიმში ჰაასმა და ფრეიმ გამოიჩინეს თავი. ამ უკანასკნელმა მეორე ტაიმში კაბანიასთან ერთად ანგარიში 5-0 გახადა. სლოვენიელებმა ისღა მოახერხეს, ერთი საპასუხო გოლი მაინც გაუტანეს მეტოქეს.


ჩინეთი — ბრაზილია

შვეიცარიელთა შემადგენლობა: ცუბერბიულერი, ჰაასი, ბერნერი (მეიერი), ენჩოსი (კელერი), მიულერი, ფოგელი (სელესტინი), კაბანიასი, ვიკი (კანტალუპი), ფრეი, ჰ. იაკინი, შაპიუზა (ტურე).

***დანარჩენ ამხანაგურ შეხვედრებში რამდენიმე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა:*** მსოფლიო ჩემპიონებმა ბრაზილიელებმა ვერ გატეხეს ჩინეთის ნაკრების წინააღმდეგობა და მატჩი ფრედ 0-0 დასრულდა. ბრაზილიის ნაკრებში თამაშობდნენ: კაფუ, რობერტო კარლოსი, რონალდო, რივალდო, რონალდინიო და სხვები. როგორც ჩანს, ბრაზილიელთათვის „ჩინური კედელი“ გადაულახავი აღმოჩნდა.

***ინგლისელებმა შინ 1-3 წააგეს ავსტრალიელებთან.*** „სკუადრა აძურამ“ კორიდის ერთადერთი გოლის წყალობით სძლია პორტუგალიის ნაკრებს. ყველასათვის მოულოდნელად ფრანგები შინ 0-2 დამარცხდნენ ჩეხეთის გუნდთან.


საფრანგეთი — ჩეხეთი

საინტერესო გამოდგა ესპანეთისა და გერმანიის ნაკრების მატჩი. ანგარიში რაულმა გახსნა 32-ე წუთზე. 7 წუთში ბობიჩმა წონასწორობა აღადგინა. 77-ე წუთზე ისევ რაულმა თერთმეტმეტრიანით დააწინაურა ესპანეთის ნაკრები. 5 წუთის შემდეგ გუტიმ მესამედ აიღო ოლივერ კანის კარი და ესპანელებმაც 3-1 იმარჯვეს.

***სხვა შეხვედრები:*** მაროკო — სენეგალი 1-0, ლიტვა — ლატვია 2-1, ტუნისი — შვედეთი 1-0, ხორვატია — პოლონეთი 0-0, ალჟირი — ბელგია 1-3, საბერძნეთი — ნორვეგია 1-0, მალტა — ყაზახეთი 2-2, ისრაელი — სომხეთი 2-0, თურქეთი — უკრაინა 0-0, ეგვიპტე — დანია 1-4, ჩრდ. ირლანდია — ფინეთი 0-1, უელსი — ბოსნია 2-2, ჰოლანდია — არგენტინა 1-0.


ინგლისი — ავსტრალია

## როი კინი თბილისში არ ჩამოვა

ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეტოქის — ირლანდიის გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ბრაიან კერიმ, თავისი მოვალეობის შესრულების პირველი დღიდანვე, მიზნად დაისახა ნაკრებში როი კინის დაბრუნება. ამ მიზნით იგი ჩაფრინდა კიდეც მანჩესტერში ფეხბურთელთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ...

როი კინმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარ მწვრთნელთან ალექს ფერგიუსონთან, საკუთარ ოჯახთან და ექიმებთან მოლაპარაკების შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, აღარ დაიცვას ირლანდიის ნაკრების ღირსება.

„ექიმებმა მირჩიეს, რომ ასეთი დატვირთვა კარგს არაფერს მომიტანს. მიმძიმს ასეთი განცხადების გაკეთება, ვწუხვარ, რომ ირლანდიის ნაკრებს ველარ დავეხმარები. მინდა წარმატებები ვუსურვო ბრაიან კერისა და მის შეგირდებს“, — განაცხადა როი კინმა.


კინი

## იუგოსლავიის ნაკრები აღარ არსებობს

სერბია და ჩერნოგორია — ამიერიდან ამ სახელწოდებით ისარგებლებს იუგოსლავია და ცხადია, მის ეროვნულ ნაკრებსაც ასე მოიხსენიებენ. უეფამ ოფიციალურად დაამტკიცა ქვეყნის სახელწოდების შეცვლა, მანამდე მისი რატიფიცირება მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ყოფილ იუგოსლავიაში ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო.

ასე რომ, იუგოსლავიის საფეხბურთო ნაკრების 83-წლიანი ისტორია დასრულდა და ევრო-2004-ის შესარჩევ მატჩში აზერბაიჯანის ნაკრების წინააღმდეგ სერბიისა და ჩერნოგორიის ნაკრებმა ითამაშა.

## კონფედერაციის თასზე

### თურქები და ბრაზილიელები ისევ ერთ ჯგუფში...

გაიმართა ფეხბურთში კონფედერაციის თასის გათამაშების წილისყრა. მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები მოხვდა B ჯგუფში აშშ-ს, კამერუნისა და თურქეთის გუნდებთან ერთად. A ჯგუფში გამოვლენ საფრანგეთის, იაპონიის, კოლუმბიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებები.

როგორც ხედავთ, აზიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპის, აფრიკის, აგრეთვე მსოფლიოს ჩემპიონთა სპეციალურ ტურნირში, რომელიც კონფედერაციის თასის სახელითაა ცნობილი და 18-29 ივნისს საფრანგეთში ტარდება, სტუმრის სტატუსითაა მიწვეული მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი თურქეთის ნაკრები.

პირველ ტურნირში, 1997 წელს ბრაზილიის ნაკრებმა გაიმარჯვა, მომდევნო შეჯიბრებები — 1999 და 2001 წლებში შესაბამისად მექსიკელებმა და ფრანგებმა მოიგეს.

## დე პედრო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას ადანაშაულებს

საფეხბურთო კლუბ „რეალ სოსიედადის“ ნახევარმცველმა ხავიერ დე პედრომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია დაადანაშაულა იმაში, რომ ეს უკანასკნელი ყველანაირად ხელს უშლის „სოსიედადს“ წლევანდელი ჩემპიონატის მოგებაში. ამის საფუძვლად დე პედრო მიიჩნევს მის 2 მატჩით დისკვალიფიკაციით დასჯას იმის გამო, რომ მან „ატლეტიკოს“ მოთამაშე ხავი გონსალესს ფეხი ჩაარტყა.

„დისკვალიფიკაცია სამართლიანი არ არის, — აცხადებს დე პედრო, — ფედერაციას არ სურს, რომ „სოსიედადმა“ ბოლომდე შეინარჩუნოს პირველი ადგილი და ამიტომ ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი ზიანი მოგვაყენონ. მათი აზრით, წინ მხოლოდ „რეალი“ უნდა იყოს, შემდეგ „ბარსელონა“, „დეპორტივო“, „ვალენსია“. მაგალითად, ლუიშ ფიგუს ასე დისკვალიფიკაციას არ მისცემენ“.

## ომის შემთხვევაში თურქეთი ჩემპიონატს შეწყვეტს

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ომის შემთხვევაში ქვეყნის ჩემპიონატის გაგრძელებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

„როგორც ჩანს, ომი გარდაუვალია. ჩვენს ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზებში ტექნიკისა და არმიის რაოდენობა იზრდება. თუკი ერაყთან საომარი მოქმედებები დაიწყება, საფეხბურთო ჩემპიონატი შეწყდება და ომის დამთავრების შემდეგ განახლდება“, — განაცხადა თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

## შმეიხელი კარიერას ასრულებს?

„მანჩესტერ სიტის“ 39 წლის გოლკიპერმა პიტერ შმეიხელმა (სურათზე) დროებით შეაჩერა მოლაპარაკებები თავისი კლუბის ხელმძღვანელობასთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. საქმე ისაა, რომ პიტერ შმეიხელი კარიერის დასრულებაზე ფიქრობს. ამის მიზეზი ის მძიმე ტრავმაა, რომელიც მან „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრაში მიიღო. საბოლოო გადაწყვეტილებას შმეიხელი გამოჯანმრთელების შემდეგ მიიღებს.



## გასპარი „ბარსელონადან“ წავიდა

საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ პრეზიდენტის პოსტი დატოვა ხუან გასპარმა. საინტერესოა, რომ იგი 1 მარტს აპირებდა ამ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ გაზაფხულის მოსვლას აღარ დაელოდა.

„ჩემი წასვლა უკეთესი იქნება კლუბისათვის. იმედი მაქვს, ყველა სადავო საკითხი მშვიდობიანად გადაწყდება“ — განაცხადა გასპარმა.

ახალი ხელმძღვანელის არჩევამდე გასპარის მოვალეობას „ბარსელონას“ ვიცე-პრეზიდენტი ენრიკ რეინი შეასრულებს.

## კატანეცი იცინის...

სლოვენიელი მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი სასაცილოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ის მოკვეთეს საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან.

„კლუბის ხელმძღვანელობის ასეთმა გადაწყვეტილებამ არ გამაოცა, უბრალოდ, სასაცილოდაც არ მყოფნის. ამაზე სასაცილო კიდევ ის არის, რომ ჩემს ადგილზე ოლეგ პროტასოვი დანიშნეს“ — განაცხადა კატანეცმა.

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ჯერ არ ჩატარდება

ევროპული კლუბების ფორუმის პლენარულ ფორუმზე, ფიფას წინადადებამ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ჩატარების შესახებ მხარდაჭერა არ ჰპოვა. ასეთი ჩემპიონატის ჩატარების წინააღმდეგ წავიდნენ „მილანის“, „მანჩესტერ იუნაიტედის“, „არსენალისა“ და სხვა კლუბების წარმომადგენლები. მათი აზრით, ტურნირის ჩატარებისათვის შესაფერისი დროც უნდა მოიძებნოს.

## ტოპმიოლერი: ნუ გამაძევებთ!

ბუნდესლიგის მორიგი ტურის მატჩში მორიგი დამარცხების შემდეგ ლევერკუზენის „ბაიერის“ ხელმძღვანელობამ სპეციალური სხდომა ჩაატარა, რაზედაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ტოპ ტიოლერმა სიტუაციის გამოსწორების პირობა დადო, სამაგიეროდ მოითხოვა გარანტია იმისა, რომ მას სეზონის დასასრულამდე არ გააძევებენ, თუმცა ასეთი გარანტიის მიცემისგან ლევერკუზენელთა გუნდის ბოსებმა თავი შეიკავეს.

„ასეთ გარანტიას მე ვერ მივცემ, თუნდაც შაბათს, მორიგ მატჩში „ჰანზა“ გაანადგუროს,“ — განაცხადა „ბაიერის“ პრეზიდენტმა.

## უხელმძღვანელებს ბორა მილუტინოვიჩი ურუგვაის ნაკრებს?

ცნობილი სერბი სპეციალისტი ბორა მილუტინოვიჩი ურუგვაის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატია, თუმცა მასთან ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას მოსაგვარებელი დარჩა ფინანსური საკითხი.

აქვე გეტყვით, რომ მილუტინოვიჩის გარდა, კანდიდატებად ითვლებიან უგო დე ლეონი, ოსკარ ტაბარესი და სერხიო მარქარიანი.

## ქუვეითის ნაკრებს ბრაზილიელი გაწვრთნის

*ფეხბურთის ბრაზილიელი სპეციალისტი ლუის სეზარ კარპეჯანი სათავეში ჩაუდგა ქუვეითის ნაკრებს.* საინტერესოა, რომ კარპეჯანი მესამე მწვრთნელია ბოლო ორ წელიწადში ბერტი ბოგთსისა და რადოსლავ აბრამოვიჩის შემდეგ, რომლებიც ქუვეითის ნაკრებმა გამოიცვალა.

## უელსის ნაკრებმა რეკორდი დაამყარა

თავის 127-წლიან ისტორიაში უელსის ფეხბურთელთა ნაკრებს არ ჰქონია შემთხვევა, ზედიზედ 9 მატჩი გაევლო დაუმარცხებლად. წაუგებელი სერიის ბოლო მატჩი უელსელებმა ფრედ (2-2) ითამაშეს ბოსნიელებთან.

# კასპაროვს მანქანა „გაუტკბა“



## რატომ? მოვუსმინოთ!..

ნიუ-იორკში, საჭადრაკო მანქანა „დიიფ ჟუნიორთან“ გამართული მატჩის ფრედ (3:3) დასრულების შემდეგ გარი კასპაროვმა განაცხადა, რომ ამგვარი მატჩები ადამიანებსა და მანქანებს შორის აუცილებელია და იგი ყოველწლიურად უნდა მოეწყოს.

„ეს არის ადამიანისა და კომპიუტერის აზროვნების შედარების უნიკალური საშუალება. თუკი „დიიფ ჟუნიორი“ მოიგებს მსოფლიო ჩემპიონატ მანქანებს შორის, ხოლო მე — ადამიანებს შორის, მომავალ წელს აუცილებლად, კვლავ უნდა შევხვდეთ. მით უმეტეს, რომ წლევანდელმა მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა“, — განაცხადა გარი კასპაროვმა.

# ციგურები კრივის ხელთათმანზე გაცვალა

სკანდალებით „სახელგანთქმული“ ამერიკელი მოციგურავე ქალი ტონია ჰარდინგი ისევ სპორტში ბრუნდება, ოღონდ, არა ყინულის მოედანზე, არამედ... პროფესიულ რინგზე. პირველ ორთაბრძოლაში ჰარდინგი თანამემამულე სამანტა ბრაუნინგის გალახვას აპირებს.

„ჩემი მიზანი მსოფლიო ჩემპიონობაა“, — განაცხადა ჰარდინგმა, რომლის შეხვედრაც ბრაუნინგთან 22 თებერვალს მემფისშია დანიშნული. ეს ბრძოლა წინ უძღვის ტაისონ-ეტიენის შეხვედრას.

# ჩიპოლინი მზად არ არის

**მსოფლიოს გასული წლის ჩემპიონმა ველორბოლაში მარიო ჩიპოლინიმ უარი განაცხადა, მონაწილეობა მიეღო „ტურ ხმელთაშუაზღვაში“, რომელიც გუშინ დაიწყო. ამის მიზეზად ჩიპოლინიმ ფიზიკური მოუმზადებლობა დაასახელა.**

## გარანტიები არ წარმოადგინა

*ჩეხეთის ხელისუფლებამ არ წარმოადგინა ის სახელმწიფო ფინანსური გარანტიები, რომლებიც საჭიროა ჰოკეისტთა მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონატის სამასპინძლოდ გათვალისწინებული ახალი დახურული სტადიონის მშენებლობის პროექტისათვის.*

ჩეხეთის ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ქვეყანას ბიუჯეტში არ გააჩნია პროექტის განხორციელებისათვის საჭირო 170 მილიონი დოლარი. თუკი ჩეხები ვერ შეძლებენ პრაღაში ახალი სტადიონის მშენებლობის საკითხის მოგვარებას (ამჟამად მოქმედი სტადიონები ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ექსპერტებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის უვარგისად სცნეს), მაშინ ამ ქვეყანას ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება ჩამოერთმევა და ეს ღონისძიება რუსეთში ჩატარდება.

*ადვილი შესაძლებელია, რომ უკრაინელმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს არა ლენოქს ლიუისთან, არამედ ევანდერ ჰოლიფილდთან.*

## ლიუისის ნაცვლად ჰოლიფილდთან?

*ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ვიტალი მოიგებს სასამართლო პროცესს ლენოქს ლიუისის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ვბც-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონს ლენოქს ლიუისს ბრძოლა უნდა ჩაეტარებინა ოფიციალურ პრეტენდენტთან ვიტალი კლიჩკოსთან 12 ან 19 აპრილს. „თუკი ინგლისელი უარს იტყვის ჩემთან შეხვედრაზე, მაშინ მას ჩემპიონის ტიტული უნდა ჩამოერთვას“ — აცხადებს ვიტალი კლიჩკო. თავის მხრივ, ლიუისის ადვოკატები თავის გასამართლებელ საბუთად იშველიებენ ტაისონთან დადებულ კონტრაქტს, რომლის თანახმადაც ინგლისელი ვალდებულია მატჩ-რევანში გამართოს „რკინის მაიკთან“.*

*ვბც-ს წესებით კი, თუ ლიუისი კლიჩკოსთან ბრძოლას თავს აარიდებს, მაშინ, ამ ვერსიით ჩემპიონის ტიტულის მფლობელი უკრაინელსა და ევანდერ ჰოლიფილდს შორის ბრძოლაში გამოვლინდება.*

# ნბა

## ჯორდანის ეპოქის დასასრული

მსოფლიო სპორტის ნებისმიერ სახეობაში „დიდი ვარსკვლავები“ ცდილობენ თავიანთი კარიერა მაღალ ნოტაზე დაასრულონ, ანუ, როგორც იტყვიან — გამარჯვებულის რანგში წავიდნენ დიდი სპორტიდან... ზოგიერთი მოგვიანებით ჩათვლის, რომ ეს ნაბიჯი ნაადრევი იყო, ითვალისწინებს გულშემატკივართა „ნოსტალგიასაც“ და დიდი „ხმაურით“ ბრუნდება ასპარეზზე, თუმცა ამ შემთხვევაში, არცთუ ისე ხშირად, „ვარსკვლავებს“ უჭირთ ამაღლებული განწყობით კარიერის საბოლოო დასრულება... ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა ნბა-ს ლეგენდარული ვარსკვლავი მაიკლ ჯორდანი, როცა კლუბ „ვაშინგტონის“ შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა მოედანზე. ეს გუნდი წლევანდელი სეზონის პირველ ეტაპზე (საშემოდგომო) არცთუ ისე დამაჯერებლად თამაშობდა და კალათბურთის ლეგენდასაც აშკარად უჭირდა ძველებური შემართებითა და შედეგიანობით თამაში — ბოლოს და ბოლოს, წლებსაც ხომ თავისი მიაქვს. და თუ რომელიმე შეხვედრაში ისევ „ძველი“ ჯორდანი „გაიბრწყინებდა“, მაიკლი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე აუცილებლად აღნიშნავდა, რომ ეს იყო მისი ბოლო „გაელვება“ ამა თუ იმ გუნდის წინააღმდეგ და მიმდინარე სეზონი უკანასკნელია მის სპორტულ ბიოგრაფიაში.

გასაკვირი არც ის იყო, რომ ჯორდანი ისევ მოხვდა ნბა-ს „ყველა ვარსკვლავთა“ მატჩის მონაწილეთა შორის, — აბა, მის გარეშე ეს შოუ ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა და ჯორდანმაც კიდევ ერთხელ მოიკრიბა ძალ-ღონე და ბოლომდე „დაიხარჯა“ მოედანზე, ერთი საუკეთესო იყო მატჩში, რომლის დასრულების შემდეგაც მოწყობილ პრესკონფერენციაზე საზოგადოებას აუწყა: ეს მატჩიც ბოლო იყო, მორჩა, ამ სეზონს ჩავამთავრებ და მივდივარო.



ჯორდანი თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის, თუგინდ „ვაშინგტონი“ წლეულს ნბა-ს ჩემპიონი გახდეს. ჯორდანის წასვლით მთავრდება ნბა-ს 80-90-იანი წლების დიდი ეპოქა, რომელსაც სპეციალისტები ჯორდანის ეპოქასაც უწოდებენ.

მაიკლ ჯორდანის კარიერა ნბა-ში დაიწყო მაშინ, როცა ლეგენდარულმა „დოქტორ ჯეიმ“ (ჯულიუს ირვინგი) დატოვა სარბიელი, თუმცა ჯერ კიდევ აგრძელებდნენ ასპარეზობას მეჯიკ ჯონსონი და ლარი ბერდი. მაიკლის გამოჩენის დროს „ჩიკაგო“ ნბა-ს ერთ-ერთი აუტსაიდერი იყო, მაგრამ „ჯორდანის ეპოქის“ დასასრულისთვის ეს გუნდი უკვე ჩემპიონის ექვს ტიტულს ფლობდა...

„ვაშინგტონში“ დაბრუნებით ჯორდანს სურდა, ამ გუნდისათვის გაეწია დახმარება და ამავე დროს ყოფილიყო ერთგვარ „ხიდად გადებული“ ნბა-ს ძველ, „დიდ ეპოქასა“ და თანამედროვეობას შორის, ყოფილიყო მაგალითის მიმცემი ახალგაზრდებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ „ვაშინგტონი“ სტაბილურობით მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა, სპეციალისტები თვლიან, რომ კალათბურთის ლეგენდამ თავისი მისია სრულად ამოწურა, მიუხედავად იმისა, რომ ჯორდანი ოცნებობდა, ისევ ნბა-ს ჩემპიონის რანგში დაესრულებინა კარიერა... იქნებ მოახერხოს კიდეც, ვინ იცის, იქამდე — „ფლეი-ოფებამდე“ საკმაო დროა დარჩენილი, თანაც, ზოგჯერ ხომ სასწაულიც ხდება ხოლმე...

# ბრაიანტის ბენეფისი

გაიმართა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგი მატჩები. „ლეიკერსმა“ ნიკა ცქიტიშვილის „დენვერს“ უმასპინძლა და გაიმარჯვა 113:102. მასპინძელთაგან საუკეთესო იყო კობი ბრაიანტი, რომელმაც გუნდს 51 ქულა შესძინა.

***სხვა მატჩები:*** „ჩიკაგო“ — „ფილადელფია“ 111:119, „მინესოტა“ — „კლივლენდი“ 102:91, „გოლდენ სტეიტი“ — „ნიუ იორკი“ 113:107, „ატლანტა“ — „ტორონტო“ 96:97, „ნიუ ჯერსი“ — „მემფისი“ 90:97, „ჰიუსტონი“ — „იუტა“ 106:76, „ინდიანა“ — „ნიუ ორლეანი“ 83:72, „დალასი“ — „მილუოკი“ 114:120.



# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




14 თებერვალი, პარასკევი.
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი ვერის ბაღის კალათბურთის სასახლიდან (16.45). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა-2002 (13.20, 22.00), „ფუტბოლ მუნდიალი“ (15.05), ლიბერტადორესის თასი (15.35), განვლილი კვირის ჰიტ-პარადი (17.20, 19.20), იტალიის (23.45), ესპანეთის (0.40) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (12.15), სატრეკო ავტორბოლა „ყველა ვარსკვლავი“ (14.50), პირველი პროფესიონალური ბრძოლები ტაიკვანდოში (16.20), ტაილანდური კრივი (19.00), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. საჩვენებელი გამოსვლები (22.25). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი (13.30), ფიგურული ციგურაობა. ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი (15.00), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (18.30), ფეხბურთი. ევრო-2004 (19.00, 20.00), სუპერკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (23.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.30).

15 თებერვალი, შაბათი
*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (19.15), *ტელეარხი როსია.* მძლეოსნობა. ევროპის გუნდური თასი. ლაიპციგიდან (2.15), ***НТВ.*** სუპერკრივი: დევიდ ტუა — ხასიმ რახმანი (0.55), ***НТВ плюс футбол.*** ამხანაგური მატჩი (13.15), ჩემპიონთა ლიგა-2002 (16.00, 22.30), „ფუტბოლ მუნდიალი“ (17.45), გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.25, 20.45). ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.25). ***НТВ плюс спорт.*** ზამთრის სპორტიის სახეობები. მსოფლიო თასი (11.55, 12.50), ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (19.45), კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (22.30), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (12.30, 13.00, 15.45, 17.15, 18.30, 21.10), მძლეოსნობა. ევროპის თასი. გერმანია (18.30), სუპერკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.45).

16 თებერვალი, კვირა
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. თსუ — ბათუმის „ბასკო“. მეორე ტაიმის პირდაპირი რეპორტაჟი (15.20), *მე-9 არხი.* მსოფლიო ფეხბურთი (19.30), ***НТВ.*** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (2.15), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15, 20.25 — პირდაპირი რეპორტაჟი), ესპანეთის ჩემპიონატი (15.00, 1.35), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (16.40), იტალიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (23.25), რუსეთის ნაკრები კვიპროსზე. დაწვრილებით (22.20), „ფუტბოლ მუნდიალი“ (22.35). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატი (11.45), ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი (17.15), „დიდი რინგი“ (22.25), ტაილანდური კრივი (1.25), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (11.30, 12.30, 14.00, 15.00, 17.00, 20.00), ფიგურული ციგურაობა. ოთხი კონტინენტის ჩემპიონატი (0.30).

**საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს დამსახურებულ მწვრთნელს გიორგი (ჟორა) მეიფარიანს დედის გარდაცვალების გამო.**
დაკრძალვა: 15.02. 14 სთ (წერეთლის გამზირი №11).

## კროსვორდი № 10



თარაზულად: 1. ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელი ფეხბურთში 1998 წ. მსოფ. ჩემპიონატზე, 6. დროის უკმარისობა ჭადრაკში, 8. ლეგენდარული იაპონელი ძიუდოისტი, 9. ოლიმპიური ჩემპიონი (1964) საშ. წონაში, იაპონელი ძიუდოისტი, 11. ალპინისტური ცენტრი საქართველოში, 12. წონის ძველი ერთეული, დღეს კრივშია მიღებული ხელთათმანის წონის განსაზღვრისათვის, 13. იაპონელი ფეხბურთელი, 1998 წ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, 15. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 16. ვეტერანი ხელბურთელი, დღეს პარლამენტარი, 19. ფინური აბანო, 20. მოკრივის სუსტი წერტილი, რომელიც ხშირად უსკდება, 23. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 25. ავტომობილებით შეჯიბრება, 26. ძიუდოში წმინდა გამარჯვება.

შვეულად: 1. იტალიის „რომას“ არგენტინელი ფეხბურთელი, 2. ლეგენდარული ფინელი მორბენალი, 3. ქართველი ფალავანი მს. ორგზის ჩემპიონი თავ. ჭიდაობაში, 4. საუკეთესო იაპონელი ტანმოვარჯიშე ვაჟი 60-იან წლებში, 5. ოლიმპიური თამაშების (1972) მასპინძელი ქალაქი, 7. სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 10. ბილიარდის ჯოხი, 14. ძალზე ნიჭიერი ანუ... 15. ზღვარგადასული გამბედაობა, სათუო შედეგით, 17. აფხაზი ფეხბურთელი, რომელმაც თბილისის „დინამოში“ ითამაშა მხოლოდ ერთი მატჩი (1975 წელს), 18. ინდოელი მოჭადრაკე დიდოსტატი, 21. პროფესიონალი რუსი ჰოკეისტი, 24. ფეხბურთელ კინის სახელი, 24. საჭადრაკო კოეფიციენტის განსაზღვრის სისტემა.

### კროსვორდი №9-ის პასუხები:

თარაზულად: 2. კროლი, 4. ციმაკურიძე, 6. სპიტცი, 8. ჰელსინკი, 9. ტრავერსი, 10. კერესი, 12. ანა, 14. ზოიძე, 15. ატაცი, 19. სოკი, 20. სოტომაიორი, 21. დებიუტანტი, 24. უნცია, 25. ალური, 26. სო. შვეულად: 1. ტურისტი, 3. ოლიმპიადა, 5. ათლი, 7. იორლა, 8. ჰოკეი, 11. ეროსი, 13. ექსედრა, 16. ტაისონი, 17. ილიე, 18. ტოსტაო, 20. სატო, 22. ბროუ, 23. „აია“.

## საჭადრაკო ამოცანა

ა. ზიბალოვი (ბაქო, 1981 წ.)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლa5!
1. ...კd5 2. ლb4+ მფe5 3. ლf4X.
2. ...კc4 3. ლb2X.
1. ...c2 2. ლc5+ მფd3 3. ეe3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com